აგრესიული ქცევისა და სასკოლო შფოთვის კვლევა მოზარდებში

სოფიო კუბლაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : პროფესორი მაია წერეთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია ქართული პოპულაციის მოზარდებში აგრესიულ ქცევასა და სასკოლო შფოთვას შორის კავშირის დადგენა, ასევე აგრესიული ქცევისა და სასკოლო შფოთვის შიდა კორელაციებისა და გენდერული განსხვავებების დადგენა. კვლევა განხორციელდა გამოკითხვის მეთოდის საფუძველზე პაჩებუტის აგრესიულობისა და ფილიპსის სასკოლო შფოთვის საკვლევი კითხვარების გამოყენებით. გამოკითხულ იქნა 104 მოზარდი, 52 ვაჟი და 52 გოგო. მიღებული შედეგების მიხედვით მოზარდთა უმრავლესობასთან გამოვლინდა აგრესიული ქცევის საშუალო დონე (74%), ხოლო აგრესიული ქცევის დაბალი დონე შედარებით მცირე ნაწილთან (7,7%). მოზარდებში აგრესიული ქცევის ყველა ტიპი სხვადასხვა სიხშირით გამოვლინდა, კერძოდ ყველაზე მაღალი სიხშირით გამოვლინდა თვითაგრესია, ყველაზე დაბალი სიხშირით კი ემოციური აგრესია; გამოკითხული მოზარდების უმრავლესობამ (67, 3%) გამოავლინა სასკოლო შფოთვის დაბალი დონე, ხოლო უმცირესობამ (4,8%) - სასკოლო შფოთვის მაღალი დონე. ყველაზე მაღალი სიხშირით გამოვლინდა შფოთვის ტიპი- გარშემომყოფთა მოლოდინებთან შეუსატყვისობის შიში, ხოლო ყველაზე დაბალი სიხშირით - სტრესისადმი დაბალი ფიზიოლოგიური მედეგობა; როგორც ვვარაუდობდით, სანდო კორელაცია დადასტურდა აგრესიული ქცევისა და სასკოლო შფოთვის თითქმის ყველა სკალას შორის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს პედაგოგებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მოსწავლეების პროდუქტიულობისა და თავდაჯერებულობის ხარისხის გაზრდით, რადგან ჩვენი კვლევა ადასტურებს არსებული კვლევების შედეგებს, რომ აგრესიული ქცევა ხშირად შესაძლოა იყოს სასწავლო პროცესებისადმი მოზარდების დამოკიდებულების გამოხატულება.

ძირითადი თემატური სიტყვები: აგრესია, საკოლო შფოთვა, გენდერი.

(სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას უნივერსიტეტის აკადემიური სტილის შესაბამისად, გვერდი : 76, 77, 78)